



ANNUAL REPORT 2013
წლიური ანგარიში

FOREWORD / წინასიტყვაობა-----	2
ABOUT US / ჩვენს შესახებ-----	5
MISSION AND VISION / მისია და ხედვა -----	5
GEOGRAPHICAL COVERAGE / გეოგრაფიული დაფარვა-----	5
CORE VALUES / ძირითადი ფასეულობები -----	6
HISTORY / ისტორია-----	8
MEMBERS OF THE SUPERVISORY COUNCIL / სამეთვალყურეო საბჭოს წევრები--	10
 PERFORMANCE / შედეგები	
 CUSTOMERS / მომხმარებლები-----	13
PETRE KAVILASHVILI / პეტრე ყავილაშვილი-----	13
ROBERT MELIKIDZE / რობერტ მელიქიძე-----	14
KHATUNA JOKHADZE / ხათუნა ჯოხაძე-----	15
PRODUCTS / პროდუქტები-----	16
 SOCIAL RESPONSIBILITY / სოციალური პასუხისმგებლობა-17	
CREDO SUPPORTS VILLAGERS /	
„კრედოს“ მხარდაჭერა რეგიონში მცხოვრებთათვის -----	17
AN EVENT FOR CHILDREN WITH DISABILITIES IN SENAKI /	
აქცია შიშველები შიშველებების მქონე ბავშვებისთვის სენაკში-----	18
EARTH DAY / დედამიწის დღე-----	18
CREDO FOR TOURISM / „კრედო“ ტურიზმის ხელშესაწყობად-----	19
CREDO REACHES 100,000 ACTIVE CUSTOMERS AND A 100,000,000 USD PORTFOLIO /	
2013 წელს კრედოს მომხმარებელთა რიცხვმა 100 000 მიაღწია-----	19
JOINT PROJECT OF CREDO AND USAID ECONOMIC PROSPERITY INITIATIVE / „კრედოსა“	
და USAID-ის (ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს)	
ეკონომიკური კეთილდღეობის ინიციატივის ერთობლივი პროექტი-----	20
 ANNUAL HIGHLIGHTS / წლის სიახლეები-----	21
NEW BRANCHES / ახალი ფილიალები-----	21
CREDO SIGNED SIX MILLION US DOLLAR AGREEMENT WITH EBRD / „კრედომ“ EBRD-	
სთან 6 მლნ დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება გააფორმა-----	22
CREDO FOUNDS CREDO ACADEMY / „კრედო აკადემია“-----	22
NEO LON / ნეო სუნსი -----	23
CREDO HAS OPENED THE FIRST CASH DESK / კრედომ პირველი სალარო გახსნა---	24

VF CREDO



In 2013 Credo experienced significant growth in the number of customers- an increase from 95,464 in 2012 to a massive 139,428 by the end of December, 2013. Simultaneously, by managing customer growth, we kept our focus on preserving portfolio quality. As a result Credo finished the year with 0.2% PAR over 30 days. We continued geographical expansion and opened 10 new branches to end the year with a network of 40 branch offices. In line with the above advancements, one of our biggest challenges was to maintain our renowned high quality customer service in a period of intensive staff growth. In 2013 we took on more than 315 new regular employees. Among significant projects realized in 2013 are: the introduction of the new Neo loan product, the introduction of subsidized agro loans for agro imputes, the establishment of a treasury function, the automation of credit bureau checking and the organization of the first Credo Summer Academy. In 2013 Credo created 17,356 new jobs, provided 176,254 loans to woman, and impacted on 148,344 children. We realized large scale community social responsibility projects with a budget of USD 200,000.

We plan to maintain our high performance, geographical expansion, good portfolio quality, and to regularly introduce new products. In future, Credo will focus on two major topics: the application of modern technologies and proving its positive impact on customers. Credo is looking to start transformation into Microcredit Banking which will be our main focus in 2014.

I would like to express my gratitude to all of Credo's staff for their diligent work and commitment, to the supervisory council for their effective leadership, to all partners and investors for their support, but most of all Credo's customers for their loyalty and joint efforts in building a better life in rural Georgia.

Sincerely,

Ljiljana Spasojevic

2013 წელს, „კრედოს“ მომხმარებელთა რიცხვი მნიშვნელოვნად გაიზარდა. მსესხებელთა რაოდენობა 2012 წელს, 95 464-იდან, 2013 წლის დეკემბრისათვის 139 428 -მდე დაფიქსირდა. 2013 წელს, „კრედოს“ კლიენტთა რაოდენობამ 100 000-ზე მეტ ადამიანს გადააჭარბა. მომხმარებელთა ზრდასთან ერთად, „კრედო“ კვლავინდებურად მომსახურების მაღალ ხარისხს სთავაზობს კლიენტებს, რის შედეგადაც „კრედომ“ წელიწადი 0.2 %-იანი რისკით დაასრულა. „კრედო“ ტემპს არ აგდებს: 2013 წელს გაიხსნა 10 ახალი ფილიალი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად გაიზარდა გეოგრაფიული არეალი. 2013 წლის მონაცემებით, საქართველოს მასშტაბით, „კრედოს“ 40 ფილიალი ოპერირებს. 2013 წლის ერთ-ერთ გამოწვევას, ორგანიზაციის ინტენსიური ზრდის პროცესში, მომხმარებლებზე ზრუნვა, მათი კეთილგანწყობის შენარჩუნება, პორტფელის ზრდა და ხარისხიანი მომსახურების მიწოდება წარმოადგენდა. 2013 წელს „კრედოს“ 315 ახალი თანამშრომელი დაემატა.

2013 წელს რამდენიმე ძალიან ნაყოფიერი პროექტი განხორციელდა: „კრედომ“ მომხმარებლებს შესთავაზა ახალი პროდუქტი – NEO სესხი, დაინერგა სუბსიდირებული აგროსესხი, შეიქმნა ხაზინა, დაინერგა საკრედიტო ბიუროს შემოწმების ავტომატიზაცია, დაარსდა „კრედოს“ აკადემია. 2013 წელს „კრედომ“ 17 356 ახალი სამუშაო ადგილი შექმნა, 176 254 სესხი გასცა ქალებზე და 148 344 ბავშვებზე. „კრედომ“ განახორციელა გრძელვადიანი სოციალური პროექტები, რაზეც ჯამურად 200 000 აშშ დოლარი დაიხარჯა.

2014 წელს „კრედო“ მნიშვნელოვანი და საინტერესო პროექტების განხორციელებას გეგმავს, როგორცაა, მაგალითად, გეოგრაფიული გაფართოება, ახალი პროდუქტების დანერგვა. სამომავლოდ, „კრედო“ ორიენტირებული იქნება 2 ძირეულ საკითხზე: ახალი ტექნოლოგიების ათვისებასა და დანერგვაზე, რაც მომხმარებელთა კეთილდღეობაზე აისახება, და ასევე, 2014 წელი საბანკო ინსტიტუტად ტრანსფორმირების პროცესს წარმოადგენს.

მსურს ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო „კრედოს“ ყველა თანამშრომელს, მათ მიერ შეტანილი წვლილისათვის „კრედოს“ წარმატებაში, აგრეთვე სამეთვალყურეო საბჭოს, ეფექტური ხელმძღვანელობისათვის, ყველა პარტნიორსა და ინვესტორს მხარდაჭერისათვის, მაგრამ უმთავრესად – „კრედოს“ მომხმარებლებს, მათი ერთგულებისათვის ჩვენს მიმართ და სოფლის მეურნეობის განვითარებაში შეტანილი წვლილისათვის.

პატივისცემით,

ლილიანა სპასოვიჩი

აღმასრულებელი დირექტორი





The logo features the letters 'VF' in orange, followed by the word 'CREDO' in blue. The text is positioned below a thick orange curved line that arches over it. The background consists of a light cream-to-white gradient with several overlapping, wavy bands of orange and yellow at the top and bottom edges.

VF CREDO

ABOUT US



VF CREDO



MISSION

Credo's mission is to provide sustainable financial services to the entrepreneurial poor and Georgian micro-end small businesses, with a preference for rural activities and those businesses that create income and employment opportunities for the poor.

VISION

Credo's vision is to enable the poor to increase their household income and to reduce their vulnerability, enabling them to build a meaningful, sustainable and self-determined livelihood.

მისია

„კრედოს“ მისიაა მენარმეობრივად უმწეოთათვის და მცირე ბიზნესებისთვის მდგრადი ფინანსური სერვისით უზრუნველყოფა, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობისა და ღარიბთათვის დასაქმების შესაძლებლობების უზრუნველყოფი ბიზნესების უპირატესობით.

ხედვა

„კრედოს“ ხედვაა უმწეოთათვის ხელის შეწყობა ოჯახის შემოსავლების გაზრდასა და სიღარიბის დაძლევაში, მყარი და სტაბილური საარსებო საშუალებების შექმნაში.

TEAM WORK

Team work leverages our individual strengths. We believe that the best results and solutions come from working together as a team.

RESPECT

We respect our clients, partners, communities and each other.

COMMITMENT

We are committed to developing Credo and to bringing a better life to our clients and communities.

RESPONSIBILITY

We are responsible for fulfilling our job commitments with honesty.

STABILITY

We provide a better and sustainable future.

OPPORTUNITIES

We create opportunities.

გუნდურობა

გუნდურობა ჩვენი ძლიერებაა. გვჯერა, რომ საუკეთესო შედეგი გუნდური მუშაობით მიიღწევა.

ურთიერთპატივისცემა

ჩვენ პატივს ვცემთ ერთმანეთს, ჩვენს კლიენტებს, პარტნიორებს და საზოგადოებას.

ერთგულება

ჩვენ ერთგულნი ვართ საერთო საქმის მიმართ.

პასუხისმგებლობა

ჩვენ პასუხისმგებელი ვართ საკუთარი სამსახურებრივი მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულებაზე.

სტაბილურობა

ჩვენ უზრუნველვყოფთ უკეთეს და სტაბილურ მომავალს.

შესაძლებლობა

ჩვენ ვქმნით შესაძლებლობებს.





1997 - World Vision Georgia started its Micro Enterprise Development program through the establishment of Georgia's Entrepreneurs' Fund which provided small and medium sized loans to poor entrepreneurs with the aim of increasing household incomes, reducing vulnerability, and enabling the building of meaningful, sustainable, and self determined livelihoods.

2002 - Canadian International Development Agency (CIDA) provided support which led to the growth of the program from a one-branch operation in Tbilisi to the addition of branches in Kutaisi and Batumi, consequently doubling the portfolio and tripling the number of clients. Further branches were then opened Akhaltsikhe and Borjomi.

2005 - World Vision's Entrepreneurs' Fund of Georgia became a local legal entity: Vision Fund Credo Foundation. Vision Fund International became the founder of the organization.

2007 - Based on the changes in Georgian law on microfinance organizations, Vision Fund Credo Foundation established a new company- Microfinance Organization Credo LLC –and transferred all the rights and liabilities of outstanding loan agreements to it.

2008 – This was a successful year for MFO Credo. Motivation to effectively combat the economic stagnation and desire to grow and adjust to the changing times was positively reflected in our growth rate-100% in both the number of clients and portfolio.

2009 - A remarkable year for innovative projects and organizational steadiness. Projects included the formation of Credo's strategic plan, the New Repayment System for improved quality service, Social Audit, and Credit Life Insurance. Another, major, milestone for the year was the expansion of operations into the region of Kakheti. Despite the worsening economic recession, Credo managed to maintain PAR 0,92 % for a 20,584.673 US Dollar portfolio and continued rapid growth in its number of clients, reaching 22,892. Credo received the Silver Category Award from MIX market for achievements in Social Performance.

2010 - Credo became leader in microfinance organizations by serving 43,172 customers and by having a PAR of 0.02% for a 33,960.677 US Dollar portfolio. Credo expanded geographically by opening two new branches with rural positioning. Major improvement in the sphere of social performance was researched and the formation of poverty assessment tool Poverty ScoreCard took place.

2011 - Credo maintained its status of leader and as an innovator organization on the Georgian microfinance market. The year closed with 64,526 active customers, a 54,666.463 US Dollar portfolio, and 0.01% PAR. Rural positioning of the organization was strengthened by the expanding of two existing branches and the opening of six new ones. Credo offered Credit Purchases by Card, installed repayment machines in all branches and introduced its own payment terminals at household equipment shops. Considerable steps towards the achievement of its social mission has been the launching of a Responsible Finance Campaign and the financing of a number of community social events.

2012 - Standing out for the introduction of Start Up Loans in cooperation with KIVA, Credit Purchases by Card for Agriculture Purposes - Crop Cards -and most importantly enabling loan applications through Short Message Services, Credo opened eight new and expanded two existing branches with rural positioning. The year closed with 95,464 active customers, a 96,456.398 US Dollar portfolio, and 0.01% PAR. Credo received the MFC and Smart Campaign Award for Best Practice in Customer Over-Indebtedness Prevention. We also launched the Poverty Score Card system, and financed large scale community social activities.

2013 - Distinguished by deepening outreach in regions, Credo opened ten new rural branches, consequently covering all regions of Georgia. The year closed with 139,428 active clients and a 132,587.732 US Dollar portfolio. New product, NEO loans, was created enabling accessibility to financial services to one of the lowest segments employed in micro and small businesses. Credo developed organizationally with its number of staff increasing by 315 employees. The first Credo Summer Academy was founded and conducted. Particular emphasis was placed on environmental and social projects impacting 1748 socially insecure beneficiaries out of which 850 were children and 158 people with special needs.

1997 – „ვორლდ ვიჟენ საქართველომ“ საქართველოს „მენარმეთა ფონდი“ დააარსა და „მცირე ბიზნესის განვითარების პროგრამა“ (GEF) წამოიწყო. იგი მცირე და საშუალო მოცულობის სესხებს მენარმებრივად უმწეოთა ოჯახური შემოსავლების გასაზრდელად, სიღარიბის დასაძლევად, მყარი და სტაბილური საარსებო საშუალებების შესაქმნელად გასცემდა.

2002 – კანადის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით პროგრამის გაფართოება გახდა შესაძლებელი. ფილიალები გაიხსნა ქუთაისსა და ბათუმში. შედეგად, გაორმაგდა სასესხო პორტფელი და გასამშავდა მსესხებელთა რაოდენობა. ახალი ფილიალები მოგვიანებით ბორჯომსა და ახალციხეშიც გაიხსნა.

2005 – „ვორლდ ვიჟენის“ „საქართველოს მენარმეთა ფონდი“ ადგილობრივ დამოუკიდებელ სამართლებრივ ერთეულად, „ვიჟენ ფანდ კრედო ფონდად“ გარდაიქმნა. მისი დამფუძნებელი „ვიჟენფანდ ინტერნეშენალი“ გახდა.

2007 – საქართველოს კანონში მიკროსაფინანსო ორგანიზაციათა შესახებ ცვლილებასთან დაკავშირებით, „ვიჟენფანდ კრედო ფონდმა“ ახალი კომპანია – შ.პ.ს. „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია კრედო“ დააარსა. შესაბამისად, სასესხო ხელშეკრულებებზე ყველა უფლება და ვალდებულება ახალ კომპანიას გადასცა.

2008 – მსო „კრედოსათვის“ წარმატებული გამოდგა. ეკონომიკური სტაგნაციის წინააღმდეგ ეფექტურად ბრძოლის მოტივაცია, ზრდის სურვილი და ცვალებად დროზე მორგება დადებითად აისახა ორგანიზაციის ზრდის მაჩვენებელზე. 100 პროცენტით გაიზარდა როგორც კლიენტების რაოდენობა, ასევე საკრედიტო პორტფელი.

2009 – ინოვაციური პროექტებისა და ორგანიზაციის სტაბილურობის შენარჩუნების წელი. ინოვაციურ პროექტებში შედის „კრედოს“ სტრატეგიული გეგმის შემუშავება, გადახდების ახალი სისტემა მომსახურების ხარისხის გასაუმჯობესებლად, სოციალური აუდიტი და სიცოცხლის საკრედიტო დაზღვევა. უდიდესი მიღწევა გაფართოება ახალი ოფისის გახსნით კახეთის რეგიონში. მიუხედავად ეკონომიკური რეცესიის გაუარესებისა, „კრედომ“ მოახერხა 20 584 673 აშშ დოლარის ოდენობის პორტფელის რისკის 0,92%-ზე შენარჩუნება და მომხმარებელთა რაოდენობის სწრაფი ზრდა, რომელთა რიცხვმაც 22 892 ადამიანს მიაღწია. სოციალური მიზნების შესრულებისთვის „კრედომ“ ვერცხლის კატეგორიის ჯილდო „მიქს მარკეტისგან“ მიიღო.

2010 – „კრედომ“ საქართველოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს შორის ლიდერის პოზიცია მოიპოვა, 43 172 მსესხებლის მომსახურებით და 0.02% რისკით 33 960 677 აშშ დოლარის პორტფელზე. „კრედომ“ გაფართოვდა გეოგრაფიულად და გახსნა ორი ახალი ფილიალი აგრარული პოზიციონირებით. სოციალური მისიის შესრულებაში მნიშვნელოვან მიღწევას, კვლევის საფუძველზე, მსესხებელთა სოციალური მდგომარეობის შეფასების ინსტრუმენტის შექმნა წარმოადგენს.

2011 – „კრედომ“ შეინარჩუნა ლიდერი და ინოვაციური ორგანიზაციის სტატუსი ქართულ მიკროსაფინანსო ბაზარზე. წლის ბოლოს აქტიურ მსესხებელთა რაოდენობა 64 526 ადამიანს შეადგენდა, საკრედიტო პორტფელი 54 666 463 აშშ დოლარს, ხოლო რისკი – 0.01 პროცენტს. ორგანიზაციის აგრარული პოზიციონირება ექვსი ახალი და ორი არსებული ფილიალის გახსნა-გაფართოებით გამყარდა. „კრედომ“ მსესხებლებს შესთავაზა განვადება პლასტიკური ბარათით, დაამონტაჟა გადახდის აპარატები ყველა ფილიალში და საკუთარი ტერმინალები საყოფაცხოვრებო ტექნიკის მაღაზიებში. ორგანიზაციის სოციალური მისიის განხორციელებისთვის მნიშვნელოვან ნაბიჯებს წარმოადგენს რიგი სოციალური ღონისძიებების დაფინანსება და გონივრული ფინანსირების საგანმანათლებლო კამპანია.

2012 – წელი ისეთი პროექტების შეთავაზებებით გამოირჩეოდა, როგორცაა კომპანია „კივასა“ და „კრედოს“ სესხები დამწევი ბიზნესებისთვის, განვადება პლასტიკური ბარათით სასოფლო სამეურნეო საჭიროებისთვის – „მოსავლის ბარათი“, და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, სესხზე განაცხადის შევსება მოკლე ტექსტური შეტყობინებების მეშვეობით. წლის ბოლოს აქტიურ მსესხებელთა რაოდენობა 95 464 ადამიანს შეადგენდა, საკრედიტო პორტფელი – 96 456 398 აშშ დოლარს, ხოლო რისკი – 0.01 პროცენტს. „კრედომ“ სასოფლო-სამეურნეო პოზიციონირების მქონე რვა ახალი და ორი არსებული ფილიალი გახსნა-გააფართოვა. „კრედომ“ „მიკროფინანს ცენტრისა“ და „სმარტ კამპანიისგან“ საუკეთესო პრაქტიკის ჯილდო მსესხებელთა ზედმეტი ვალდებულებებისგან დაცვის სფეროში მიიღო, დანერგა მსესხებელთა სოციალური მდგომარეობის შეფასების ბარათი და მრავალი მასშტაბური საზოგადოებრივ-სოციალური პროექტი განახორციელა.

2013 – წელი გეოგრაფიული არეალის გაფართოებით გამოირჩეოდა. „კრედომ“ გახსნა 10 ახალი ფილიალი, რომელიც მოიცავს სრულიად საქართველოს; წელი დაიხურა 139 428 აქტიური მომხმარებლით და 132 587 732 აშშ დოლარის ოდენობის პორტფელით; შეიქმნა ახალი პროდუქტი – NEO-სესხები, რომელიც ხელმისაწვდომია მიკრო და მცირე ბიზნესში დასაქმებულთათვის; „კრედოს“ თანამშრომელთა რაოდენობა გაიზარდა 315 რეგულარული თანამშრომლით; დაარსდა „კრედოს“ პირველი ზაფხულის აკადემია. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო გარემოს დაცვისა და სოციალურ პროექტებს. სოციალური პროექტების ფარგლებში „კრედომ“ 1748 ადამიანს გაუწია სხვადასხვა ტიპის დახმარება.



HANS JURGEN BEDERSKI - National Director of World Vision Georgia

Hans Jurgen Bederski has eighteen years of professional experience. For the past 9 years he has coached, mentored and supervised national and international staff in multi-cultural settings. His practice includes working as a national and program director for World Vision International. In line that this he has served as the Country Program Manager of Save the Children UK – Kyrgyzstan. Currently, he is leading the World Vision Georgia office in the capacity of National Director.



PAUL ELLIOTT - Vision Fund International Regional Director for the Middle East and Eastern Europe

Paul Elliot has worked on leadership positions for 20 years. His professional experience includes positions as Chief Executive Officer at insurance company Open+Direct, Finance Director at Virginia Capital, Business Analyst at NIE (Northern Ireland Electricity) plc, and Audit Manager at Ernst and Young. He has a BS in Mathematics from Queen's University, Belfast, and is a Member of the Institute of Chartered Accountants in Ireland.



NINO GONJILASHVILI - Senior Financial Specialist, Vision Fund International

Nino Gonjilashvili has over six years working experience in the financial management of microfinance organizations and four years in project design, implementation and management. She has worked as a Finance Officer for World Vision International in Georgia, and as the Finance Director at Vision Fund Credo Foundation as well as IQPC Spain. Currently she works as a Senior Financial Specialist at Vision Fund International. Nino Gonjilashvili holds an International MBA from Instituto de Epresa Business School and a Finance Degree from the Association of Chartered and Certified Accountants (ACCA.)



MARINUS MAASKANT - Independent Consultant, Founder of Maaskant Consulting

Marinus Maaskant has vast expertise in senior management of consultancy projects for international financial institutions, implementing strategic decisions, coaching assignments, and project development. His work experience includes being: Board Member at Musoni Mobile Microfinance, CEO, ABN AMRO Mellon Global Securities Services, Senior Vice President for Manager Global Security Services, Senior Vice President for Training and Development, Senior Vice President for the Audit Department of Dutch and international financial market, and Operational Manager for Dutch Bank District. He also has several years experience as chairman and treasurer on the boards of a variety of institutions.



LIKA GELASHVILI - Director of HR and Quality Management Department, Insurance Company IC Group

Lika Gelashvili holds Masters Degree in Social Psychology from Tbilisi State University. She has over seven years experience in HR consulting, service standard formation, recruitment, and researching. She is also experienced in design, implementation, management and monitoring of trainings. She has worked as Director for leading Georgian HR company Human Capital, and as an Internal Auditor of the Quality Management System for the Institute for Polling and Marketing. She has consulted and worked on special HR projects with numerous Georgian companies.

ჰანს იურგან ბედერსკი - „ვორლდ ვიჟენ“, საქართველოს ოფისის ხელმძღვანელი

ჰანს იურგან ბედერსკის აქვს თვრამეტწლიანი პროფესიული გამოცდილება. ბოლო 9 წლის მანძილზე ჰანსმა მრავალი პროფესიონალი აღზარდა. მის პროფესიულ გამოცდილებაში შედის როგორც რეგიონალური, ასევე „ვორლდ ვიჟენის“ საერთაშორისო პროექტების ხელმძღვანელობა. ის მუშაობდა ყირგიზეთში, Save The Chil (uk) -ის ქვეყნის პროგრამის მენეჯერის თანამდებობაზე. ამჟამად ჰანსი „ვორლდ ვიჟენ“ საქართველოს ოფისის ხელმძღვანელობს.

პოლ ელიოტი - „ვიჟენფანდ ინტერნეშნალის“ რეგიონალური დირექტორი შუა აღმოსავლეთსა და აღმოსავლეთ ევროპაში

პოლ ელიოტს ხელმძღვანელ პოზიციებზე მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება აქვს. მისი სამუშაო გამოცდილება მოიცავს შემდეგ პოზიციებს: აღმასრულებელი დირექტორი სადაზღვევო კომპანია Open+Direct-ში, ფინანსური დირექტორი Virginia Capital-ში, ბიზნეს-ანალიტიკოსი NIE PLC-ში (ჩრდილოეთ ირლანდიის ელექტროკავშირი) და მენეჯერი – აუდიტორი კომპანია Earst and Young-ში. ბაკალავრის დიპლომი მიღებული აქვს მათემატიკაში, „ქვინის“ უნივერსიტეტში (ბელფასტი). ის ასევე ირლანდიის პრივილეგირებულ ბუღალტერთა ინსტიტუტის წევრია.

ნინო გონჭილაშვილი - „ვიჟენფანდ ინტერნეშნალის“ უფროსი ფინანსური სპეციალისტი

ნინო გონჭილაშვილს მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ფინანსურ მენეჯმენტში მუშაობის ექვსწლიანი გამოცდილება აქვს, ხოლო პროექტების დიზაინის შექმნაში, დანერგვასა და მართვაში - ოთხწლიანი გამოცდილება. ნინო „ვორლდ ვიჟენ საქართველოს“ წარმომადგენლობის ფინანსურ ოფიცრად, „ვიჟენ ფანდ კრედო“ ფონდსა და კომპანია IQPC-ში კი ფინანსურ დირექტორად მუშაობდა. ნინო გონჭილაშვილი ამჟამად „ვიჟენ ფანდ ინტერნეშნალის“ უფროსი ფინანსური სპეციალისტია. ის „ინსტიტუტ დე ესპრეზას“ ბიზნეს-სკოლის მაგისტრია და აგრეთვე ბუღალტერთა ასოციაციის (ACCA) ფინანსისტის დიპლომს ფლობს.

მარინუს მაასკანტი - „მაასკანტ კონსალტინგის“ დამფუძნებელი და დამოუკიდებელი კონსულტანტი

მარინუს მაასკანტს საკონსულტაციო პროექტების მართვაში მუშაობის დიდი გამოცდილება აქვს. ის საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციებს სტრატეგიული გადაწყვეტილებების დანერგვასა და პროექტების განვითარებაში კონსულტაციას უწევს. მისი სამუშაო გამოცდილება მოიცავს: „მუსონი მობაილ მაიქროფაინანსის“ საბჭოს წევრი, ABN AMRO Global Securities აღმასრულებელი დირექტორი, Manager Global Security Services, Training and Development-ის ვიცე-პრეზიდენტი, დანიის საბანკო ოლქის აუდიტორული განყოფილების პრეზიდენტი და საოპერაციო მენეჯერი. მას სხვადასხვა ორგანიზაციების დირექტორთა საბჭოს თავჯდომარედ და ხაზინადარად მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვს.

ლიკა გელაშვილი - სადაზღვევო კომპანია „აი სი ჯგუფის“ ადამიანური რესურსებისა და ხარისხის მართვის დეპარტამენტის დირექტორი

ლიკა გელაშვილი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალური ფსიქოლოგიის მაგისტრის ხარისხის მფლობელია. მას ადამიანურ რესურსებთან დაკავშირებულ კონსულტაციებში, კვლევაში, თანამშრომელთა დაქირავებასა და ტრენინგების ჩამოყალიბებაში მუშაობის შვიდწლიანი გამოცდილება აქვს. ის მუშაობდა კომპანია Human Capital-ის დირექტორად, კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის ხარისხის მართვის სისტემის შიდა აუდიტად. მან მრავალ ქართულ კომპანიას გაუწია კონსულტაცია და იმუშავა სპეციალურ საკადრო პროექტებზე.





VF Credo

PERFORMANCE


Balance Sheet საბალანსო უწყისი

USD / აშშ დოლარი	2011	2012	2013
Cash&Bank Account ნაღდი ფული და საბანკო ანგარიში	7,999,831	13,043,688	24,856,152
Gross Portfolio მთლიანი პორტფელი	54,666,463	96,456,398	132,587,732
Loan Loss Allowance პორტფელის შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-291,165	-648,218	-793,391
Net Loan Portfolio წმინდა სასესხო პორტფელი	54,375,298	95,808,180	131,794,341
Other Current Assets სხვა მიმდინარე აქტივები	2,411,931	3,833,672	5,043,351
Fixed Assets წმინდა ძირითადი საშუალებები	1,647,833	2,098,708	2,972,827
Total Assets სულ აქტივები	66,434,893	114,784,248	164,666,671
Short Term Liabilities მოკლევადიანი ვალდებულებები	16,533,170	35,812,378	54,233,963
Long Term Liabilities გრძელვადიანი ვალდებულებები	38,719,825	61,094,188	83,334,755
Equity კაპიტალი	11,181,898	17,877,682	27,097,948
Total Liabilities & Equity სულ ვალდებულებები და კაპიტალი	66,434,893	114,784,248	164,666,671


Income Statement მოგება ზარალის უწყისი

USD / აშშ დოლარი	2011	2012	2013
Interest & Fee Income from Loans & Investments საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი სესხებიდან	18,427,691	29,328,969	45,725,317
Interest Expense on Borrowings საპროცენტო ხარჯი სესხებზე	-3,656,105	-5,672,456	-8,461,873
Net Interest & Fee Income წმინდა საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი	14,771,586	23,656,513	37,263,444
Provisions for Loans Impairments პორტფელის შესაძლო დანაკარგების დარეზერვების ხარჯი	-76,092	-365,660	-310,759
Funds Recoveres from Written-off Loans დაბრუნებული თანხები ჩამოწერილ სესხებზე	226,360	111,057	98,346
Administrative & Operating Expenses ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	-10,157,881	-15,610,638	-24,707,714
Other Income (Expenses) სხვა შემოსავალი	0	0	32,790
Foreign Exchange Loss სავალუტო გადაფასების დანაკარგი	-141,916	-111,798	98,143
Net Income before Taxes მოგება გადასახადებამდე	4,622,057	7,679,474	12,474,250
Profit Tax მოგების გადასახადი	-534,837	-1,061,281	-1,802,773
Net Income before Donations წმინდა შემოსავალი შემოწირულობებამდე	4,087,220	6,618,194	10,671,477
Donations შემოწირულობები	0	0	0
Net Income წმინდა მოგება	4,087,220	6,618,194	10,671,477


Portfolio პორტფელი




Portfolio By Product პორტფელი პროდუქტების მიხედვით




PAR over 30 Days (%) სარიცხო პორტფელი (30 დღეზე მეტი)




Operational Self Sustainability (%) საოპერაციო მდგრადობა




Number of Active Clients აქტიურ მსესხებელთა რაოდენობა



Number of Children Impacted გავლენა მოხდენილ ბავშვთა რაოდენობა



Investors ინვესტორები





2014 first quarter data
2014 წლის პირველი კვარტლის მონაცემები


Balance Sheet საბალანსო უწყისი

USD / აშშ დოლარი	2012	2013	2014
Cash&Bank Account ნაღდი ფული და საბანკო ანგარიში	13,043,688	24,856,152	24,429,278
Gross Portfolio მთლიანი პორტფელი	96,456,398	132,587,732	135,984,067
Loan Loss Allowance პორტფელის შესაძლო დანაკარგების რეზერვი	-648,218	-793,391	-753,589
Net Loan Portfolio წმინდა სასესხო პორტფელი	95,808,180	131,794,341	135,230,478
Other Current Assets სხვა მიმდინარე აქტივები	3,833,672	5,043,351	4,900,498
Fixed Assets წმინდა ძირითადი საშუალებები	2,098,708	2,972,827	2,976,178
Total Assets სულ აქტივები	114,784,248	164,666,671	167,536,432
Short Term Liabilities მოკლევადიანი ვალდებულებები	35,812,378	54,233,963	49,939,687
Long Term Liabilities გრძელვადიანი ვალდებულებები	61,094,188	83,334,755	87,778,469
Equity კაპიტალი	17,877,682	27,097,948	29,818,277
Total Liabilities & Equity სულ ვალდებულებები და კაპიტალი	114,784,248	164,666,671	167,536,433


Income Statement მოგება ზარალის უწყისი

USD / აშშ დოლარი	2012	2013	2014
Interest & Fee Income from Loans & Investments საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი სესხებიდან	29,328,969	45,725,317	12,767,414
Interest Expense on Borrowings საპროცენტო ხარჯი სესხებზე	-5,672,456	-8,461,873	-2,401,692
Net Interest & Fee Income წმინდა საპროცენტო და საკომისიო შემოსავალი	23,656,513	37,263,444	10,365,722
Provisions for Loans Impairments პორტფელის შესაძლო დანაკარგების დარეზერვების ხარჯი	-365,660	-310,759	-89,329
Funds Recoveres from Written-off Loans დაბრუნებული თანხები ჩამოწერილ სესხებზე	111,057	98,346	18,558
Administrative & Operating Expenses ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	-15,610,638	-24,707,714	-7,160,752
Other Income (Expenses) სხვა შემოსავალი	0	32,790	24,092
Foreign Exchange Loss სავალუტო გადაფასების დანაკარგი	-111,798	98,143	231,905
Net Income before Taxes მოგება გადასახადებამდე	7,679,474	12,474,250	3,390,196
Profit Tax მოგების გადასახადი	-1,061,281	-1,802,773	-508,549
Net Income before Donations წმინდა შემოსავალი შემოწირულობებამდე	6,618,194	10,671,477	2,881,647
Donations შემოწირულობები	0	0	0
Net Income წმინდა მოგება	6,618,194	10,671,477	2,881,647


Portfolio პორტფელი




Portfolio By Product პორტფელი პროდუქტების მიხედვით




PAR over 30 Days (%) სარიცხო პორტფელი (30 დღეზე მეტი)




Operational Self Sustainability (%) საოპერაციო მდგრადობა



Number of Active Clients
აქტიურ მსესხებელთა რაოდენობა



Number of Children Impacted
გავლენა მოხდენილ ბავშვთა რაოდენობა



The logo features the letters 'VF' in orange, followed by the word 'CREDO' in blue. A thick orange arc is positioned above the text, and a thin orange arc is positioned below it. The background consists of a light beige gradient with several overlapping, wavy orange bands of varying thicknesses and colors, creating a sense of movement and depth.

VF CREDO

CUSTOMERS



VF CREDO

PETRE KAVILASHVILI

WINE GROWING, -HORTICULTURE, VEGETABLE GROWING

პეტრე ყავილაშვილი

მევენახეობა, მებაღეობა, მებოსტნეობა



As a believer in the importance of the agriculture sector for the development of the economy, Credo has created a range of financial and non-financial products to support Georgian farmers since 2006. Petre Kavilashvili, of Balgojani village in the Kakheti region, East Georgia, operates a vine-growing, vegetable growing, and horticulture business.

He received his first loan to purchase fertilizers and cultivate land. Later, he applied for Credo's Crop Insurance Loan, which became his major salvation as, in summer 2012, a natural disaster damaged one hundred percent of Mr. Kavilashvili's crop. Through the compensation received from his insurance, he managed the downturn with ease and, furthermore, was able to apply for new loans to diversify his business and to start-up watermelon, melon, and cucumber growing.

Along with facilitating income growth, Credo improves the livelihood conditions of its customers. Mr. Kavilashvili received several other loans to renovate his house, purchase household appliances, and a car which he uses both for business and domestic purposes. He currently employs three people.

სოფლის მეურნეობის განვითარება უდიდეს როლს თამაშობს ეკონომიკის წინსვლაში. სწორედ ამიტომ, „კრედო“ ქართველი ფერმერების მხარდასაჭერად რიგ ფინანსურ და არაფინანსურ პროდუქტებს ქმნის 2006 წლიდან. კახეთის რეგიონის სოფელ ბალღოჯიანში მცხოვრები პეტრე ყავილაშვილის ბიზნესი მევენახეობის, მებოსტნეობისა და მებაღეობისგან შედგება.

პირველი სესხი მან სასუქის შესაძენად და მიწის დასამუშავებლად მიიღო. მოგვიანებით, განაცხადი „კრედოს“ მოსავლის დაზღვევის სესხზე გააკეთა, რომელიც მისი ბიზნესის გადამრჩენად იქცა - 2012 წლის ზაფხულში, სტიქიური უბედურების შედეგად ბატონ პეტრეს მოსავალი ასი პროცენტით განადგურდა. დაზღვევით მიღებული კომპენსაციით მან წარმატებით მოახერხა პრობლემების მოგვარება, აიღო ახალი სესხი ბიზნესის დივერსიფიცირებისთვის და საზამთროს, ნესვისა და კიტრის მეურნეობას მიჰყო ხელი.

შემოსავლის ზრდასთან ერთად, „კრედო“ ხელს უწყობს მსესხებლების საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ბატონმა პეტრემ რიგი სესხები სახლის გასარემონტებლად, საყოფაცხოვრებო მოწყობილობებისა და ავტომობილის შესაძენად მიიღო, რომელსაც როგორც ბიზნეს-დანიშნულებით, ასევე პირადი მიზნებისთვის იყენებს. ამჟამად ის 3 ადამიანს ასაქმებს.

ROBERT MELIKIDZE
SKI RENT, GUESTHOUSE

რობერტ მელიქიძე

თხილამურების გაქირავება,
საოჯახო ტიპის მომსახურება



Over recent years Georgia has been improving its tourism potential and making a full range of its attractions safe and readily accessible for travelers. In order to stimulate sustainable tourism development through local entrepreneurship, Credo has been issuing loans to micro, small, and medium businesses in resort areas.

Robert Melikidze operates a ski rental and guesthouse in winter resort Bakuriani. He received his first loan for the purchase of working capital. He took out a second loan in order to develop the infrastructure of his guesthouse, add more rooms, and purchase furniture. New skiing equipment alongside the comfortable atmosphere in the guesthouse attracted more travelers and consequently had a positive effect on profits and on the financial condition of his family.

უკანასკნელი წლების მანძილზე საქართველოში ტურიზმი ერთ-ერთ განვითარებად სფეროდ იქცა. მნიშვნელოვნად გაიზარდა ტურისტთა რაოდენობა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. „კრედო“, თავის მხრივ, ტურიზმის განვითარების სტიმულირებას ადგილობრივი მენარმეების დახმარებით ახორციელებს და სესხებს კურორტულ ზონებში მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესებზე გასცემს.

რობერტ მელიქიძე თხილამურების გაქირავებითა დაკავებული და ასევე საოჯახო ტიპის სასტუმროს ამუშავებს ზამთრის კურორტ ბაკურიანში. ბატონმა რებომ პირველი სესხი კაპიტალისტვის აიღო. მომდევნო სესხზე განაცხადი კი სასტუმროს ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის შეავსო, დაამატა ოთახები და შეიძინა ავეჯი. ახალმა სათხილამურო აღჭურვილობამ და კომფორტულმა ატმოსფერომ სასტუმროში მეტი ტურისტი მოიზიდა, შედეგად კი დადებითი გავლენა იქონია მისი ბიზნესის მომგებიანობასა და ოჯახის კეთილდღეობაზე.



KHATUNA JOKHADZE

WATER BARREL TRADING

ხათუნა ჯოხაძე

წყლის კასრებით ვაჭრობა

Being a socially oriented microfinance organization, Credo aims to predominantly empower female borrowers who are recognized for their particularly high contribution to the economic growth and sustainable livelihood of their families and communities. Khatuna Jokhadze – single mother of one -is a bright example of a strong woman whose diligence brought her family out of engrossing poverty.

Harsh living conditions, unemployment, and the need to support her child led her to start a water barrel trading business. She applied for a Credo loan in 2009 to start up that business. Soon after, she received a second loan to increase working capital in her gradually expanding business and managed to purchase a flat for her family.

Ms. Jokhadze has used Wish Card to buy household appliances and furniture. She lives with an elderly mother and a daughter. "Credo is my good friend. It was always there for me when I was in need. I have recommended Credo to many of my friends as I believe that business can succeed only in the case of sustainable financial assistance." -says Ms. Jokhadze.

„კრედო“, როგორც სოციალური მისიის მქონე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, ცდილობს გააძლიეროს ქალი მსესხებლები, რადგან მათ განსაკუთრებული წვლილი შეაქვთ საკუთარი ოჯახებისა და საზოგადოების ეკონომიკურ განვითარებასა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაში.

ხათუნა ჯოხაძე მარტოხელა დედაა. ის ძლიერი ქალის ნათელი მაგალითია, რომელმაც შრომისმოყვარეობით მოახერხა ოჯახის სიღარიბისგან დაცვა.

ცხოვრების რთული პირობების, უმუშევრობისა და ერთადერთი შვილის რჩენის საჭიროების გამო, კასრებით ვაჭრობას მიჰყო ხელი. „კრედოში“ სესხზე განაცხადი 2009 წელს გააკეთა და ბიზნესი წამოიწყო. მალევე, მეორე სესხი მიიღო სამუშაო კაპიტალის გასაზრდელად. ბიზნესი ეტაპობრივად გაფართოვდა და ქალბატონმა ხათუნამ საკუთარი 3-სულიანი ოჯახისთვის ბინის შეძენა მოახერხა.

ქალბატონმა ხათუნამ „ნატურის ბარათის“ მეშვეობით საოჯახო ტექნიკა და ავეჯიც შეიძინა. ის შვილთან და მოხუც დედასთან ერთად ცხოვრობს.

„კრედო ჩემი მეგობარია, რომელიც დამეხმარა საჭიროებისას. მეც მოვიყვანე ბევრი ჩემი მეგობარი „კრედოში“, რადგან მიმაჩნია, რომ მხოლოდ დროული ფინანსური დახმარებით შეიძლება წარმატების მიღწევა ბიზნესში“, – აღნიშნავს ქალბატონი ხათუნა.



CUSTOMERS / მომხმარებლები

PRODUCTS პროდუქტები

AGRICULTURE LOANS

სასოფლო-სამეურნეო სესხები

URBAN BUSINESS LOANS

ურბანული ბიზნეს-სესხები

TOURISM DEVELOPMENT LOANS

ტურიზმის განვითარების სესხები

CREDIT PURCHASES FOR AGRICULTURE BUSINESSES

განვადება ურბანული ბიზნესის მფლობელთათვის

CREDIT PURCHASES FOR TOURISM BUSINESSES

განვადება ტურისტული ბიზნესის მფლობელთათვის

CREDIT PURCHASES BY CARD – THE WISH CARD

განვადება კლასტიკური ბარათის გამოყენებით – „ნაძვრის ბარათი“

CREDIT PURCHASES BY CARD FOR AGRICULTURE EQUIPMENT AND MATERIALS- THE CROP CARD

განვადება კლასტიკური ბარათის გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო საშუალებებისთვის – „მოსავლის ბარათი“

LOANS FOR CROP INSURANCE

სესხები სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევისთვის

URBAN START-UP LOANS

ურბანული სესხები დამწყები ბიზნესებისთვის

AGRICULTURE START-UP LOANS

სასოფლო-სამეურნეო სესხები დამწყები ბიზნესებისთვის

TOURISM START-UP LOANS

ტურისტული სესხები დამწყები ბიზნესებისთვის

LOANS FOR INDIVIDUALS EMPLOYED IN MICRO, SMALL AND MEDIUM BUSINESSES

სესხები მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთათვის

CREDIT PURCHASES FOR INDIVIDUALS EMPLOYED IN MICRO, SMALL AND MEDIUM BUSINESSES

განვადება მიკრო, მცირე და საშუალო ბიზნესში დასაქმებულთათვის





SOCIAL RESPONSIBILITY

Credo is distinguished for intensive high social activity which has contributed over the years to supporting real projects within society. Credo is focused on supporting low-wage families to develop small businesses and to overcome poverty. The mission of the company and its main task is caring for its own borrowers, developing society and at the same time taking care of its own employees.

„კრედო“ გამოირჩევა როგორც მაღალი სოციალური აქტივობის ორგანიზაცია, რომელსაც წლების განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს საზოგადოებისათვის აქტუალური პროექტების მხარდასაჭერად. „კრედო“ ორიენტირებულია მცირე ბიზნესის გასავითარებლად დაბალი შემოსავლების მქონე ოჯახების დახმარებასა და სიღარიბის დაძლევაზე. კომპანიის მისიიდან გამომდინარე, „კრედოს“ უმთავრესი ამოცანაა საკუთარ მსესხებელზე ზრუნვა, საზოგადოების განვითარებისა და გარემოს დაცვის პოპულარიზაციის ხელშეწყობა, ასევე დასაქმებულებზე ზრუნვა.

CREDO SUPPORTS VILLAGERS

Credo assists extremely poor families throughout Georgia. It gives the above-mentioned families: household equipment, items of primary need, food, and domestic appliances. In 2013, within the framework of social projects, Credo carried out large-scale activities within such important regions as: Ajara, Imereti, Samegrelo, Samtskhe-Javakheti, Shida Kartli, Tbilisi, Kakheti, and Qvemo Kartli. Credo gave a variety of assistance to 1748 socially insecure beneficiaries.

„კრედოს“ მხარდაჭერა რეგიონში მცხოვრებთათვის

სოციალური პროექტების ფარგლებში, „კრედომ“ მასშტაბური აქტივობები განახორციელა. კომპანიამ მოიცვა ისეთ მნიშვნელოვანი რეგიონები, როგორებიცაა: აჭარა, იმერეთი, რაჭა, სამეგრელო, სამცხე-ჯავახეთი, შიდა ქართლი, თბილისი, კახეთი, ქვემო ქართლი. „კრედომ“ სხვადასხვა ტიპის დახმარება გაუწია 1748 სოციალურად დაუცველ ადამიანს. აღნიშნულ ოჯახებს „კრედომ“ გადასცა საყოფაცხოვრებო ნივთები, პირველადი მოხმარების საგნები, საკვები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა.



AN EVENT FOR CHILDREN WITH DISABILITIES IN SENAKI

Credo decided to surprise, visit, and make some dreams come true for a group of disabled children in Senaki. Within the event children performed poems and songs and had fun with Credo staff. People with disabilities are a powerful, valuable, and significant part of our society. In the framework of social responsibility, Credo is dedicated to regularly paying special attention to and facilitating the psychological rehabilitation of such people.



აქცია შვილებსთვის მქონე ბავშვებისთვის სენაკში

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედომ“ სენაკის უნარშეზღუდული ბავშვებისათვის საქველმოქმედო აქცია გამართა. აქციის ფარგლებში ბავშვებს სიურპრიზი მოუწყო და სურვილები შეუსრულა. მსგავსი ტიპის ღონისძიებებს „კრედომ“ მუდმივად ახორციელებს. სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში „კრედომ“ არაერთ ღონისძიებას მართავს და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს უნარშეზღუდული ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციას.



EARTH DAY

Credo organized a joint Earth Day event in cooperation with the Adjara Department of Natural Resources and Environmental Protection and Batumi Shota Rustaveli University. The event- named Protect the Environment, Protect the Future! - aimed at our participating in improving the Earth's environment, raising awareness, and deepening social responsibility.

In the framework of the event, employees of Credo and the department, together with university students, cleaned an area of the Tchorokhi Delta from plastic bags and other waste. The territory is of strategic importance, as it stands as part of a route for migratory birds.



დედაბინის დღე

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედომ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსთან და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან ერთად გამართა ღონისძიება სახელწოდებით „დაიცავი გარემო, დაიცავი მომავალი“. ღონისძიების ფარგლებში „კრედოსა“ და დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უნივერსიტეტის სტუდენტებთან ერთად ჭოროხის დელტის მიმდებარე ტერიტორია პოლიეთილენის პარკებისა და სხვა ნარჩენებისგან გაასუფთავეს.

CREDO FOR TOURISM

Credo implemented a particularly significant project to support the tourism business- it created a web-portal through which applicants are able to advertise places to rent to holidaymakers, and offer other interesting information. 217 people have used this portal to date.

„კრედო“ ტურიზმის ხელშესაწყობად

„კრედომ“ ტურისტული ბიზნესის ხელშესაწყობად მნიშვნელოვანი პროექტი განახორციელა აჭარასა და ქობულეთში - შექმნა ვებ-პორტალი, სადაც მსურველებს შეუძლიათ განათავსონ გასაქირავებელი სივრცეები დამსვენებელთათვის. პორტალით სარგებლობს 217 ადამიანი.



CREDO REACHES 100,000 ACTIVE CUSTOMERS AND A 100,000,000 USD PORTFOLIO

In 2013 Credo surpassed the 100,000 active customers and 100,000,000 USD portfolio edge! The success is deemed to be of particular importance as Credo provides financial services to around half of microfinance borrowers in Georgia!

Since the founding of Credo, its primary objective has been to enable poor families in Georgia to increase household incomes, reduce vulnerability, and create sustainable livelihood. Credo has tried to achieve this by offering innovative, socially oriented and adjusted financial products and services that could lead to better solutions in alleviating poverty, consequently offering the most value to our customers and ensuring sustainable growth of the company.

Strong relationships with customers are primary to Credo's work. Such relationships form the basis of its workings: how it discovers ideas, understands customers' needs, and ultimately comes up with the best offers. A spirit of innovation, accessible products, top service quality, distribution channels, expansion in regions, and a responsive loan management system are significant contributors to Credo's success.

2013 წელს „კრედოს“ მომხმარებელთა რიცხვმა 100 000 მიაღწია

2013 წლის პირველ კვარტალში „კრედომ“ 100 000 აქტიური მსესხებლისა და საკრედიტო პორტფელის 100 000 000 აშშ დოლარიანი ზღვარი გადალახა. შედეგად, „კრედო“ ფინანსურ მომსახურებას საქართველოს მიკროსაფინანსო ბაზრის დაახლოებით ნახევარს უწევს. დაარსების დღიდან „კრედოს“ ძირითად ამოცანას საქართველოში უმწეო ოჯახებისთვის შემოსავლების ზრდა, სიღარიბის დაძლევა, მყარი და სტაბილური საარსებო საშუალებების შექმნა წარმოადგენდა. ამ მიზნის მიღწევა ინოვაციური პროდუქტებით, მაღალი სოციალური პასუხისმგებლობის მქონე ორგანიზაციად ჩამოყალიბებით, მსესხებლებზე მორგებული პროდუქტებითა და საუკეთესო მომსახურებით გახდა შესაძლებელი. „კრედომ“ მსესხებლებს შეუქმნა ფასეულობები, შედეგად კი უზრუნველყო კომპანიის სტაბილური ზრდა.

„კრედოს“ მუშაობის უმთავრესი ასპექტია მსესხებლებთან მტკიცე ურთიერთობის ჩამოყალიბება. მხოლოდ მსესხებლების საჭიროებების გათვალისწინებით ჩნდება ახალი იდეები და იქმნება საუკეთესო შეთავაზებები. ინოვაციები, ხელმისაწვდომი პროდუქტები, საუკეთესო მომსახურების ხარისხი, სადისტრიბუციო არხები, ფილიალები რეგიონებში და სესხის მართვის ადეკვატური სისტემა „კრედოს“ წარმატების გასაღებია.

JOINT PROJECT OF CREDO AND USAID ECONOMIC PROSPERITY INITIATIVE

Credo has realized a cooperation project with USAID Economic Prosperity Initiative for owners of mandarine and hazelnut economies in West Georgia. The project aimed at enabling farmers to purchase agriculture chemicals, fertilizers, and land analysis through interest free Credit Purchase Loans. Representatives of Samegrelo, Guria, and Adjara region participated in project and in total up to 570 loans were approved.

„კრედოსა“ და USAID-ის (აშერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს) ეკონომიკური კეთილდღეობის ინიციატივის ერთობლივი პროექტი

„კრედომ“ USAID-ის „ეკონომიკური კეთილდღეობის ინიციატივის“ (EPI) პროგრამასთან ერთად დასავლეთ საქართველოში თხილისა და მანდარინის მეურნეობების მფლობელებისთვის ერთობლივი პროექტი განახორციელა. პროექტის ფარგლებში ფერმერებს საშუალება მიეცათ უპროცენტო განვადების მეშვეობით შეეძინათ სასოფლო – სამეურნეო საქმიანობისთვის საჭირო საშუალებები: შხამქიმიკატები, სასუქები, და აელთ მინის ანალიზი. პროექტში სამეგრელოს, გურიისა და აჭარის წარმომადგენლებმა მიიღეს მონაწილეობა. სულ 570 ფერმერისთვის დამტკიცდა სესხი.





VF CREDO

**ANNUAL
HIGHLIGHTS**

The image features a logo for 'VF CREDO' centered in the upper portion. The logo consists of the letters 'VF' in orange and 'CREDO' in blue, all in a bold, sans-serif font. The text is framed by a thick, orange, curved line that arches over it. The background is a light cream color with several decorative elements: a series of overlapping, wavy orange bands at the top and bottom, and thin, thin, curved lines on the left side that create a sense of movement and depth.

VF CREDO

NEW BRANCHES

The main component of Credo's strategy involves agricultural regional development throughout Georgia. In 2013 Credo opened 10 new branches throughout Georgia in: Tbilisi, Gardabani, Tsalka, Kaspi, Kvareli, Tsnori, Terjola, Vani, Zugdidi and Khelvachauri.

Credo makes important contributions throughout Georgia in terms of employment. In the newly-opened branches, so far 189 people have been employed, each of whom is able to offer a high quality financial service to customers.

Credo offers its beneficiaries agro, urban, and tourist business developing loans and credits as well business per consumer need.

ახალი ფილიალები

საქართველოს მასშტაბით სასოფლო-სამეურნეო რეგიონების განვითარება „კრედოს“ ორგანიზაციული სტრატეგიის მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს. 2013 წელს „კრედომ“ კიდევ 10 ფილიალი გახსნა.


აღნიშნული ფილიალები გაიხსნა თბილისში, გარდაბანში, ნალკაში, კასპში, ყვარელში, წნორში, თერჯოლაში, ვანში, ზუგდიდში, ხელვაჩაურში.

„კრედოს“ მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის დასაქმების კუთხით.

ახალგახსნილ ფილიალებში ჯამურად 189 ადამიანი დასაქმდა, რომლებიც ხარისხიან ფინანსურ მომსახურებას სთავაზობენ მომხმარებლებს.

„კრედო“ მომხმარებლებს სთავაზობს აგრო, ურბანული, ტურისტული ბიზნესის განვითარების სესხებსა და განვადებას - როგორც ბიზნესს, ასევე სამომხმარებლო საჭიროებისათვის.





CREDO SIGNED SIX MILLION US DOLLAR AGREEMENT WITH EBRD

Credo is honored to sign US\$ 6 million loan agreement with the European Bank for Reconstruction and Development. The program aims to support micro and small enterprises in Georgia by issuing loans in local currency; furthermore, it will promote industrial and residential energy efficiency through customer awareness-raising on environmental protection issues.

„კრედომ“ EBRD-სთან 6 მლნ დოლარის ოდენობის სასესხო ხელშეკრულება გააფორმა

„კრედომ“ 6 მლნ დოლარის სასესხო ხელშეკრულება გააფორმა ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკთან. პროგრამა მიზნად ისახავს საქართველოში მიკრო და მცირე საწარმოების მხარდაჭერას, გარემოს დაცვის საკითხებზე მსესხებელთა ცნობადობის ამაღლებას, რაც თავის მხრივ წაახალისებს სამრეწველო და სამომხმარებლო ენერგოეფექტურობას. სესხები ეროვნულ ვალუტაში გაიცემა.

CREDO FOUNDS CREDO ACADEMY

Credo Academy is an internal organization education center created in order to improve field staff qualifications and more effectively achieve Credo's institutional goals. It identifies field personnel training needs, develops training modules and delivers trainings to both existing and new employees.

In June 2013, the first Credo Summer Academy was conducted in Chakvi, Adjara Region, during which 141 people were trained and so improved their qualifications. Since its establishment, approximately 1,000 Credo employees have been trained in such a way.

„კრედო აკადემია“

„კრედო აკადემია“ ორგანიზაციის შიდა საგანმანათლებლო ცენტრია. აკადემიის მიზანია თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებაზე ზრუნვა. „კრედო აკადემიის“ ფარგლებში ტარდება სხვადასხვა ტიპის პროფესიული ტრენინგები, როგორც არსებული, ასევე ახალი თანამშრომლებისთვის.

2013 წლის ივნისში „კრედოს“ პირველი საზაფხულო აკადემია ჩატარდა ჩაქვი (აჭარის რეგიონი). აკადემიის ფარგლებში ტრენინგი გაიარა და კვალიფიკაცია აიმაღლა 141-მა თანამშრომელმა. აკადემიის დაარსებიდან დღემდე კი ჯამურად 1000-მდე თანამშრომელი გადამზადდა.



NEO LOAN

Credo has important news for its beneficiaries in the introduction of a new product on the market- Neo loans. These loans can be given to small, micro and average private business employees. Usage of the new product of Credo is available for those whose salaries are not put into banks and who have had no access to bank services before. The offer is to give according to wage premium income and to also take into consideration over-salary earning.

„წამო სესხი“

„კრედომ“ მნიშვნელოვანი სიახლე შესთავაზა თავის მომხმარებლებს და ახალი პროდუქტი – Neo სესხი დანერგა ბაზარზე. აღნიშნული სესხი მიკრო მცირე და საშუალო კერძო ბიზნეს-დაქირავებულ თანამშრომლებზე გაიცემა. „კრედოს“ ახალი პროდუქტით სარგებლობა შეუძლია მათ, ვისაც ხელფასი ბანკში არ ერიცხებათ და აქამდე არ ჰქონდათ საშუალება საბანკო მომსახურებით ესარგებლათ.

NEO პროდუქტი გაიცემა სახელფასო შემოსავლის პრემიის, ასევე ზესახელფასო გამომუშავების გათვალისწინებით.



CREDO HAS OPENED THE FIRST CASH DESK.

Micro Finance organization Credo offered the beneficiaries the important innovation in 2013. The first cash desk Credo opened in Tbilisi in Varketili branch.

The customer is able to carry out the following types of transactions: repayment of the loan amount, withdrawing the money, convert.

Cashier services can save the customers' time and make it more comfortable for them to work with Credo.

„კრედომ“ პირველი სალარო გახსნა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „კრედომ“ 2013 წელს მნიშვნელოვანი სიახლე – სალარო მომსახურება შესთავაზა მომხმარებლებს.

პირველი სალარო „კრედომ“ თბილისში, ვარკეთილის ფილიალში გახსნა.

სალაროში მომხმარებლებს შესაძლებლობა აქვთ განახორციელონ შემდეგი ტიპის ოპერაციები: სესხის თანხის დაფარვა, თანხის ანგარიშიდან გატანა, და თანხის კონვერტირება.

სალარო მომსახურება მომხმარებლებს დაუზოგავს დროს და კიდევ უფრო კომფორტულს გახდის „კრედოსთან“ თანამშრომლობას.





HEAD OFFICE
9 M. ASATIANI STR. 0186, TBILISI GEORGIA
TEL/FAX: (+995 32) 2470087

სათავმო ოფისი
საქართველო, თბილისი, 0186, მ.ასათიანი ქ. N-9
ტელ/ფაქსი: (+995 32) 2470087

www.credo.ge